შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

14. 11. 2016 წ.

ტექნიკური დასკვნა

ქ.თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპ.№23-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.10.001.114) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ

ქ.თბილისი

ქ.თბილისი 14 ნოემბერი 2016 წ.

ჩემს მიერ, ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა ქ.თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპ.№23-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.10.001.114) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობას. ამასთან, ვიზუალურად შემოწმდა სამშენებლო პოლიგონის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობაც, სამუშაოების ჩატარებისას მათზე შესაძლო უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი მოედანი ხასიათდება ზოგადად ქანობიანი რელიეფით. აღნიშნულ ნაკვეთს მიწის რეგისტრირებული ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები მხოლოდ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ემიჯნება. ჩრდილოეთის მხრიდან 01.17.10.001.027; 01.17.10.001.040; 01.17.10.001.010 და 01.17.10.001.016, ნაკვეთები, ხოლო დასავლეთის მხრიდან 01.17.10.001.095 და 01.17.10.001.002 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

სამშენებლო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით, საპროექტო შენობის მზიდი კონსტრუქცია მონოლითური რკ/ბეტონის სივრცითი კარკასია, საძირკვლის ტიპი – მონოლითური რკ/ბეტონის ფილაა, რომელიც ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგების მიხედვით ეფუძნება – ფენა №5-ს – სუსტად გამოფიტული ქვიშა-ქვებისა და არგალიტების მორიგეობას, განლაგებულს 8.30 – 9.10მ სიღრმიდან. ამავე დასკვნის მიხედვით მიწის საპროექტო ნაკვეთი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო – გეოლოგიურ პირობებში.

საპროექტო შენობის საძირკველი ეწყობა გაცილებით ღრმად, ვიდრე გარშემო არსებული შენობების საძირკვლები, გამომდინარე აქედან შენობის აშენებისა და შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში, მათზე უარყოფითი სახის ზემოქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.10.001.027

მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საპროექტო შენობიდან დაცილებულია 40-41 მეტრის მანძილით, რაც გამორიცხავს მასზე რაიმე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენას.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.10.001.040

ამ დროისთვის აღნიშნულ ნაკვეთზე შენობა-ნაგებობები არ ფიქსირდება.

მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.17.029.010

მასზე განთავსებული ნეგებობა წარმოადგენს ტიპიურ, ანაკრები კონსტრუქციებით აგებულ სატრანსფორმატოროს, დაცილება საპროექტო შენობიდან 11.00-12.00 მეტრია, რაც ასევე საკმაო მანძილია მასზე რაიმე უარყოფითი ზემოქმედების მოსახდენად.

მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.17.029.016

მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საპროექტო შენობიდან დაცილებულია 38.00-39.00 მეტრის მანძილით, რაც გამორიცხავს მასზე რაიმე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენას.

მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.17.029.095

აღნიშნულ ნაკვეთზე მიმდინარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები, ყველაზე ახლო მანძილი მათ შორის დაახლოებით 27.00 მეტრია, რაც გამორიცხავს მასზე რაიმე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენას.



საპროექტო მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთის მხრიდან ემიჯნება დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია საბაგირო სადგურის შენობა, რომლის მზიდი კონსტრუქციის ტიპი წარმოადგენს კომპლექსურს – მონოლითური რკ/ბეტონის კარკასი ანაკრები კონსტრუქციების ჩანართებით. საძირკვლის სავარაუდო მაქსიმალური ჩაღრმავება 2.00-3.00 მ-ია. მინიმალური დაცილება საპროექტო შენობიდან 11.00-12.00 მ-ია; საპროექტო საძირკველი ჯდება გაცილებით ქვედა არიალში ვიდრე საბაგიროს სადგურის შენობის საძირკვლებია, ეფუძნება მყარ ქანებს, რაც მთლიანობაში ქმნის იმის პირობას, რომ საპროექტო შენობა საბაგირო შენობის მდგრადობაზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.10.001.114) განთავსებულ შენობას №01/1, ისინი პროექტის მიხედვით ექვემდებარებიან დემონტაჟს.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეის მდგომარეობით, საპროექტო ნაკვეთზე მდებარე ქ.თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპ.№23-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.10.001.114) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული სამუშაოები და შენობის შემდგომი ექსპლუატაცია უარყოფითად არ იმოქმედებს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ შენობა-ნაგებობების საერთო მდგრადობასა და საიმედოობაზე.

სამუშაოები ჩატარდეს ქვეყანაში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

გენ. დირექტორი:

კონსტრუქტორი, ექსპერტი

ალ. ყურაშვილი